



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 8 22 0000891786



10/08/2022

შპს NK-ს სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2022 წლის 09 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს NK-ს დირექტორის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №871619) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 02 აგვისტოს №867602 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს NK-სთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2022 წლის 09 აგვისტოს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს NK-ს (ს/კ: 200012743) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის № 871619).
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 10 აგვისტოს №890744 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ფარცვანია კახაბერ

